Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#20, ივლისი, 2022

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისტორია 1990-იანი წლებიდან დღემდე

თამარი ბიბიჩაძე
სალომე ქოროღლიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: tamari.bibichadze373@sps.tsu.ge
Email: salome.qoroglishvili235@sps.tsu.ge

აბსტრაქტი

განვითარებადი ქვეყნების ეროვნული სტრატეგიების მიმოხილვა, კრიზისული და შოკური პერიოდების მოგვარების გზების გაანალიზება საკმაოდ საინტერესო სურათს იძლევა, თუ როგორ უნდა გადაეწყოს ქვეყანა ახალ ეკონომიკურ სისტემაზე. საქართველომ, როგორც ყოფილმა პოსტსაბჭოთა სახელმწიფომ განვითარების, რეფორმირების და ცვლილებების საკმაოდ ხანგრძლივი გზა განვლო. ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისტორია 1990-იანი წლებიდან დღემდე. საკვლევი თემის აქტუალურობას განაპირობებს ეკონომიკის სულ უფრო და უფრო პრიორიტეტულ სფეროდ ჩათვლა წამყვანი მეცნიერების მხრიდან და აღიარება იმ ფაქტისა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემა ზრდად ეკონომიკურ ხასიათს ატარებს, ვიდრე პოლიტიკურს(გარდა გარკვეული გამონაკლისებისა). აქედან გამომდინარე, შევისწავლეთ საქართველოს უახლესი წარსული, სხვადასხვა ავტორის, სპეციალისტის მოსაზრებები საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან,რომ განვიხილავთ საქართველოს უახლესი ისტორიის ოცდაათწლეულს, რაც ფართო საკვლევი პერიოდია, ვეცდებით ყურადღება გავამახვილოთ ძირითად გარდაქმნისა და განვითარების სტრატეგიებზე, რაც არსებული რეალობის გაანალიზებასა და საკვლევი თემის კონკრეტული კონტურების დავიწროებაში დაგვეხმარება. ამასთან ნაშრომში ვხვდებით პოლიტიკურ კონტექსტსაც,რაც ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთდაკავშირებულობაზე მიუთითებს, თუმცა ისიც იმიტომ,რომ აგვეხსნა ეკონომიკური ცვლილებების თავისებურებები. საკვლევ კითხვას წარმოადგენს თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური გარდაქმნის სტრატეგიები საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვეცდებით სიღრმისეულად წარმოვაჩინოთ საქართველოს უახლესი ეკონომიკური წარსული და სტატისტიკურ, ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით გავცეთ პასუხი საკვლევ კითხვას.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური შოკი, სტაბილიზაცია, გაჯანსაღება, ლიბერალიზაცია, ჩრდილოვანი ეკონომიკა

შესავალი

გასული საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ისტორიული მოვლენები საერთაშორისო სისტემის ფორმირების საწინდარი გახდა. საერთაშორისო დღისწესრიგის ცვლილებამ განაპირობა ახალ გამოწვევებთან გამკლავების აუცილებლობა, რაშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ჩაერთო, მათ შორის საქართველო. პირველ რიგში, საქართველო მოგვევლინა,როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სუსტი ინსტიტუტებით და ფაქტობრივი კრიზისული ეკონომიკური სიტუაციით. სახელმწიფოებრივობის შენარჩუნებისთვის აუცილებელი იყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რაც პირდაპირპროპორციულად უკავშირდებოდა ეკონომიკურ გარდაქმნებს. სწორედ ამიტომ კვლევის მიზანია შევისწავლოთ, ეკონომიკური განვითარების როგორი გზა განვლო ქვეყანამ, რაც საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ არსებული რეალობა და გავაკეთოთ სწორი დასკვნები. იმისათვის,რომ

ვუპასუხოთ საკვლევ კითხვას: თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური გარდაქმნის სტრატეგიები საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, დავისახეთ შემდეგი ამოცანები: 1990-იანი წლებიდან დღემდე საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის, ემპირიული და სტატისტიკური მონაცემების შესწავლა, ეკონომიკური გარდაქმნების თავისებური ჯაჭვის გაანალიზება, სადაც ერთმანეთს ენაცვლება კოლაფსი, სტაბილიზაცია, კრიზისი და გაჯანსაღების პერიოდები და ხელისუფლების ცვლილებების არაპირდაპირი ზეგავლენის დაკავშირება ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან.

საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე 5015,3$ შეადგენს, ამ მონაცემებზე დაყრდნობით იგი ნამდვილად შეგვიძლია ჩავთვალოთ საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყანად. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021). დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე გატარებული არაერთი რეფორმის მიუხედავად, საქართველო დღესაც დგას რიგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე. (UNDP საქართველო). ეკონომიკური გამოწვევების გადალახვის მცდელობა უკავშირდება როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე მის საზღვრებს შიგნით მრავალ სფეროში მიმდინარე თავისი არსით განსხვავებულ პროცესებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკა და მასთან დაკავშირებული სტრატეგიები. 1990-იანი წლებიდან გეოპოლიტიკის ეკონომიზაციისკენ მიმართულმა ტენდეციამ საქართველოზეც ჰპოვა ასახვა(კვინიკაძე, 2017) და ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მთელი რიგი ცვლილებების ტალღა წარმოშვა. 1990-იანი წლები საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდი იყო. პირველ რიგში იმიტომ, რომ მიმდინარეობდა სამოქალაქო დაპირისპირება, ეთნოკონფლიქტი, ფინანსური კრიზისი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოსტსოციალისტური ქვეყნების უმრავლესობის მსგავსად, საქართველოშიც ძირითადად ევოლუციური განვითარების მოლოდინსა და საბაზრო კანონებთან თანდათანობით ადაპტაციას ემყარებოდა ეკონომიკური გარდაქმნის სტრატეგიული გზა, რასაც ჩვეულებრივ, უფრო ნაკლებად ,,დამანგრეველი" რყევები და სტაგნაცია უნდა გამოეწვია. მაგრამ არსებობდა სხვა ფაქტორები, რომელთა ზემოქმედებისა და პროცესების მუდმივი ცვალებადობის შედეგად, საქართველოს ეკონომიკა რეალურ საბაზრო შოკში აღმოჩნდა და საჭირო გახდა ქვეყანაში გატარებულიყო რადიკალური რეფორმები,რომელსაც გარდაქმნების და შემდგომი გაჯანსაღების საფუძველი უნდა შეექმნა. (პაპავა, 2002) ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა რეფორმები,რომლებიც მიმართული იყო ეკონომიკური გაჯანსაღების, კორუფციის აღმოფხვრის, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გაუმჯობესებისა და საკანონმდებლო ბაზის შექმნისთვის.

ლიტერატურის მიმოხილვა

საინტერესოა იმის გაანალიზება, თუ როგორ დაიწყო სახელმწიფოს ერთ-ერთი მამოძრავებელი მიმართულების -ეკონომიკისა და ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილება 1990-იანი წლებიდან. ვფიქრობთ, საკმარისი დრო გავიდა იმისთვის, რომ სწორად დავინახოთ და შევაფასოთ, რა გზა განვლო საქართველოს ეკონომიკამ ამ პერიოდის განმავლობაში, რა დაბრკოლებებისა და

პრობლემების დაძლევა მოუწია, რისი გადალახვა უწევს კვლავ, რა არის მათი გადაჭრის საშუალებები და რა შედეგები გვაქვს ამ ყოველივეს გათვალისწინებით.

ფიშერი, საჰაი და ვეგი ნაშრომში "სტაბილიზაცია და ზრდა გარდამავალ ეკონომიკებში: ადრეული გამოცდილება" საუბრობენ ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოების სავარაუდო ეკონომიკურ სტრატეგიებზე. მათი აზრით, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პირველი ნაბიჯი, რომელიც პოსტსოციალისტურ ქვეყნებს უნდა გადაედგათ ეკონომიკური სიტუაციის შეცვლის, განახლების, სტაბილიზაციისა და განვითარებისთვის, იყო მათი მოდერნიზაცია, რაც ნიშნავს ძველი სისტემიდან ახალზე გადასვლას. ჩვეულებრივ, აღნიშნული ცვლილებები გაიგივებული იყო ქვეყნის დასავლურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან. აღნიშნული რეფორმების საფუძველი, რა თქმა უნდა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული გარდაქმნებია (Fischer, Sahay, & Vegh, 1996). ავტორების მოსაზრება ძველი სისტემიდან ახალზე გადასვლის შესახებ ყველა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად შეიძლება აღქმულიყო. პირველ რიგში იმიტომ,რომ პოლიტიკურ-ეკონომიკური სვლების გარდა მრავალი დამაბრკოლებელი ფაქტორები არსებობს, როგორებიცაა: ღირებულებითი, კულტურული, მენტალური, სოციალური და ა.შ. მათი ერთობლიობა კი ქმნის მოდერნიზაციის სხვადასხვა მიმართულებებს. მათ შორის, ზემოთ აღნიშნული გარდაქმნის გზები ყველა ქვეყანამ სხვაგვარად გაიარა. ყოველივე განპირობებული იყო განსხვავებებით,რომლებიც არსებობდა ამ ქვეყნებს შორის. აქედან გამომდინარე, სტანდარტულად, ის, რაც ერთ ქვეყანაში შეიძლება წარმატების საფუძველი ყოფილიყო,შეიძლება მეორე ქვეყანაში არ ემუშავა. რაც რეალობაშიც მოხდა, თუ თავდაპირველი გარდაქმნის ეტაპები წარმატებული აღმოჩნდა აღმოსავლეთ ევროპის რიგი სახელწიფოებისთვის, საქართველოზე იგივეს ვერ ვიტყოდით. საქართველომ ტრანსფორმაციის ოცდაათწლიანი პერიოდი ძალზე მრავალფეროვნად გაიარა და მრავალი თვალსაზრისით, მისი ეკონომუკური განვითარება, მათ შორის, ხელისშემშლელი ფაქტორების გაანალიზება დღეს არსებული და მიმდინარე პროცესების შეფასების ძალიან კარგი შესაძლებლობაა.

საწყის ეტაპზე ეკონომიკის ტრანსფორმაციის ორი მიმართულება განსაზღვრეს: ევოლუციური, "შოკური". ავტორები თვლიან, რომ "შოკური თერაპია" მიზანშეწონილი იყო ფასების ლიბერალიზაციისთვის, ეკონომიკური სტაბილიზაციისა და მაკროეკონომიკური ცვლადების კორექტირებისათვის. სხვა სფეროებთან მიმართებაში კი ხანგრძლივვადიანი რეფორმები უნდა გატარებულიყო (Fischer, Sahay, & Vegh, 1996). ვფიქრობთ, რომ საქართველოსთვის საკმაოდ რთული იყო ტრანსფორმაციის ამ გზაზე დადგომა. პირველ რიგში, იმიტომ რომ არ გვყავდა სპეციალისტები, რომლებიც თუნდაც, როგორც ავტორები ამბობენ, შეიმუშავებდნენ ,,ხანგრძლივვადიან რეფორმებს", მიუხედავად იმისა, რომ უცხოელი მრჩევლები გვაძლევდნენ რეკომენდაციებს. ქვეყნისთვის რთული აღმოჩნდა ახალ სისტემაზე გადაწყობა.

ლიბერალიზაციის, სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და სტაბილიზაციის ტრანსფორმაციული გზა ნეოკლასიკურ ეკონომიკაზე დაფუძნებულ რევოლუციურ, ე.წ. "შოკურ" მიდგომას მიეკუთვნება და საკმაოდ პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებზე. ევოლუციური მიდგომა,

თავისი არსით გულისხმობს ქვეყნისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, რაც, ნიშნავს გარდაქმნას,ტრანსფორმაციას (Stiglitz, 1996). საქართველოში განხორციელებული სტრუქტურული გარდაქმნები უნიკალური გახლდათ, რამეთუ ორივე სახის ტრანსფორმაციის მიმართულებას ითვალისწინებდა.

ნაშრომში „საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი“ ავტორები საუბრობენ 1990 წლიდან 1995 წლამდე პერიოდის ქართულ ეკონომიკაზე. ეკონომიკა მკვეთრად იყო დაცემული, რაც სხვადასხვა ფაქტორებით იყო გამოწვეული, მათ შორის, როგორც უკვე ვთქვით, იმ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირებებითა და ეთნოპოლიტიკური ომებით. საკმარისია ითქვას,რომ წარმოების დონე 5 წლის განმავლობაში 78%-ით შემცირდა. შედარებისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ, აშშ-ში ,,დიდი დეპრესიის“ დროს არსებული ეკონომიკური სტაგნაცია,რომელსაც 3-ჯერ აღემატებოდა საქართველოში დაფიქსირებული მაჩვენებლები. (ციხელაშვილი, შერგელაშვილი და თოქმაზიშვილი, 2012). 1990-1995 წლებში ჰიპერინფლაცია 3310,6%-მდე გაიზარდა. რამაც გამოიწვია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები,მათ შორის უმუშევრობის დონის მკვეთრი ზრდა, შემოსავლების დონის უთანასწორო გადანაწილება და ცხოვრების დონის დაწევა (World Economic Outlook Database. 2007). ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის გაანალიზებით,შეგვიძლია ვთქვათ,რომ საქართველოში არსებული ჰიპერინფლაცია 3-ჯერ მეტი იყო სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებული ინფლაციის საშუალო მაჩვენებლებზე. ამასთან სულ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს კორუფცია, იზრდებოდა დანაშაულებების რიცხვი. ყოველივე ზემოთაღნიშნული, ქვეყანაში ქმნიდა გაუსაძლის საცხოვრებელ პირობებს,რომელიც უარესდებოდა ქვეყნის შიგნით არსებული დესტაბილიზაციისა და არეულობის ფონზე.

მნიშვნელოვანია 1995 წელი, როცა ქვეყნის მშვიდობიანი სახელმწიფოებრივი მშენებლობა და ეკონომიკის თანდათანობითი ტრანსფორმაცია იწყება, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში, ფაქტობრივად, ყველაზე გვიან მოხდა. რეფორმებისა და ინსტიტუციური გარდაქმნების პროცესის დაწყების შედეგად, 1995 წლიდან საქართველოს ეკონომიკა კრიზისული მდგომარეობიდან გამოვიდა. 1997 წელს ეკონომიკის ზრდამ პიკს მიაღწია, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო “ვარდების რევოლუციამდე”, რამეთუ მშპ-ს ზრდის ტემპმა 10.7% შეადგინა. შემდგომ პერიოდში, მშპ-ს ზრდის ტემპი მკვეთრად დაეცა, რასაც თან დაერთო 1998 წლის გლობალური საფინანსო კრიზისი, რამაც კიდევ უფრო მნიშვნელოვნად შეაფერხა ეკონომიკის განვითარება (Fic, & Saqib, 2006).

ამ პერიოდიდან დაწყებული, საქართველოს ეკონომიკა მოიცვა მნიშვნელოვანმა კრიზისულმა სიტუაციებმა. მათგან უმნიშვნელოვანესი იყო კატასტროფული ინფლაცია, რომელმაც დოლარის და ზოგადად უცხოური ვალუტის მნიშვნელობის და ღირებულების ზრდა გამოიწვია ქვეყანაში, რასაც დაემატა ე.წ ჩრდილოვანი ეკონომიკის ფესვებისგადგმა ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაში და მის კვალობაზე დოლარის ხვედრითი წილის კიდევ უფრო ზრდა. მაგალითისთვის, 2003 წელს 86% გახდა დოლარიზაციის კოეფიციენტი,რომელიც თავისი არსით მაქსიმალურ ნიშნულს წარმოადგენდა. ამ

ყველაფერმა საქართველო დააყენა იმ რეალობის წინაშე,რომ ჩამოყალიბდა ორვალუტიანი ზონა,სადაც ეროვნულ ვალუტასთან ერთად ჩვეულებრივ გამოიყენებოდა დოლარი. განსაკუთრებით კი სამომხმარებლო ხარჯების, მსხვილი სამეწარმეო გარიგებების და საინვესტიციო მიზნებისთვის (ციხელაშვილი, შერგელაშვილი და თოქმაზიშვილი, 2012). რეალურად კი, ვფიქრობთ, რომ ახლადჩამოყალიბებულ სახელმწიფოს, რომელიც მანამდე სხვა ქვეყნებთან იყო გადაჯაჭვული, ,,მთელის" ერთ მცირედ ნაწილს წარმოადგენდა და მათთან ერთად საერთო პროცესებში იყო ჩართული, გაუჭირდა ახალ მოდელზე სწრაფად გადასვლა, მორგება. აქედან გამომდინარე, ქვეყნისთვის ძნელი იყო უზრუნველყო სახელმწიფო ფინანსების ქმედითუნარიანობა და ამოეღო ის გადასახადები, რომლებიც ქვეყნის ბიუჯეტისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. ამას კი, ემატებოდა ის ფაქტიც, რომ უმნიშვნელო იყო სახელმწიფოს ბიუჯეტის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში. 1995 წელს მხოლოდ მშპ-ის 5% შეადგენდა, მომდევნო წლებში მაჩვენებელი 12%-ს გადასცდა, თუმცა 2004 წლამდე ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში.აქედან გამომდინარე, დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ,რომ სახელმწიფოს იმდენად სუსტი ინსტიტუციური და ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობები ჰქონდა,რომ არ შეეძლო სასიკეთო ცვლილებების მოხდენა.

რაც შეეხება 1994-1998 წლებს, ამ პერიოდში გატარდა სხვადასხვა სახის რეფორმები ეკონომიკის სტაბილიზაციის, სტრუქტურული ცვლილებებისა და ლიბერალიზაციისთვის, რომლის მიზანიც ჩვენს მიერ ნახსენები ფინანსურ-ეკონომიკურ-ინსტიტუციური განვითარების დონის მიღწევა იყო. შედეგად, ცვლილებები განხორციელდა საბანკო სისტემაში. ამავე პერიოდში დამტკიცდა ახალი ეროვნული ვალუტა- ლარი. სწორედ ამ რეფორმებისა და 1996-1998 წლებში ბაქო-სუფსის და 2003-2005 წლებში ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დამსახურება იყო ის, რომ სწრაფად გაიზარდა ქვეყნის ეროვნული შემოსავალი. ამის მიუხედავად, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ საქართველოს განვითარების დონე არ იყო საკმარისი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 5.3%-დან 6.0%-მდე გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი, რომელთაც 1,25$ ნაკლები ჰქონდათ დღიული შემოსავალი და ეს ყველაფერი 4 წლიან შუალედში, 1997-2001 წლებში. ამ პერიოდის განმავლობაში, თავდაპირველად, თანდათანობით ამუშავდა მცირე და საშუალო ბიზნესი, მცირედით,მაგრამ მაინც გაიზარდა ხელფასები, პენსიები, მოსახლეობის შემოსავლები, შემცირდა უმუშევართა რაოდენობა. თუმცა 1998-1999 წლებში გლობალურმა სავალუტო კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და შედეგად, 2004 წლამდე საქართველოს ეკონომიკა დაბალი ტემპით ვითარდებოდა(World Development Indicators, 2002) ვფიქრობთ, ხაზგასასმელია ის ფაქტი,რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, მას შემდეგ რაც ქვეყანა ახალი საერთაშორისო სისტემის ნაწილი გახდა გაიზარდა მისი დამოკიდებულება მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ კრიზისებზე და ესეც იმიტომ,რომ მიუხედავად დამოუკიდებლობისა ფულადი მასის დიდი ნაწილი კლავ რუსეთიდან შემოდიოდა.

ეკონომიკაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა 1990-იანი წლების დასაწყისში არსებული ჰიპერინფლაციისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მცირე შემოსავლების შემდეგ, 1998 წლის ფინანსური

კრიზისი იყო, ამიტომაც განვიხილოთ, თუ რითი იყო ის გამოწვეული და როგორ იმოქმედა მან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე. XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოში დაიწყო აზიის ფინანსური კრიზისი, რომელმაც განსაკუთრებით აზიის ქვეყნები დააზარალა, მათ შორის რუსეთი და თურქეთი. კრიზისი 1998 წლის აგვისტოში, რუსეთში დაიწყო, შემდეგ უკვე ,,დომინოს პრინციპით" ზეგავლენა მოახდინა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკებზე. კრიზისმა ვალუტის კურსის მნიშვნელოვნად დაცემა, ფასების გაზრდა და განვითარების ტემპის შემცირება გამოიწვია (Ellman, Scharrenborg, 1998). იქიდან გამომდინარე, რომ იმ პერიოდში რუსეთი საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი იყო, ეკონომიკურმა კრიზისმა შედეგად გააუარესა საქართველოს სავაჭრო ბალანსი და გაზარდა იმპორტირებული პროდუქტის ფასები (ციხელაშვილი, შერგელაშვილი და თოქმაზიშვილი, 2012). ფინანსური კრიზისის შედეგები საკმაოდ მწვავე იყო, რომელიც რეალურ სექტორშიც გამოვლინდა, მანამდე არსებული არცთუ ისე ძლიერი ეკონომიკის ფაქტობრივი მოშლა გამოწვია ვალუტის მნიშვნელოვანმა დევალვაციამ. იმის ფონზე, რომ ეროვნული ვალუტისადმი ასეთი უნდობლობა იყო, დოლარიზაციის კოეფიციენტი ზრდას უწყვეტად განაგრძობდა 2004 წლამდე: 1998 წლისთვის იყო 69%, 1999 წელს -79%, 2004 წლის დასაწყისში კი თავის მაქსიმუმს 85%-ს მიაღწია. არსებული დინამიკის გათვალისწინებით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ საქართველოში სავალუტო კრიზისზე მოქმედებდა როგორც ენდოგენური, ასევე ეგზოგენური ფაქტორები. შედეგად, საბაზრო მექანიზმები ვერ მუშაობდა გამართულად,ხოლო გარდაქმნა ნელი ტემპით მიმდინარეობდა. კორუფციული მექანიზმებისა და სახელმწიფო ოლიგარქიული წყობის ფორმირებას ხელს უწყობდა საბაზრო ეკონომიკაში ძლიერი ადმინისტრაციული ჩარევა. ამას თან ერთვოდა ის ფაქტიც, რომ დაბალი იყო მონეტიზაციის დონე, რაც მეტყველებდა ბანკების შეზღუდულ როლზე. (ხარშილაძე, 2015). ვფიქრობთ, ასევე მნიშნველოვანი იყო ის ფაქტი, რომ ცვლილებები დოლართან მიმართებით პირდაპირპროპორციულად აისახებოდა ქვეყნის ეკონომიკაზე. რამეთუ ეკონომიკის არასტაბილურობა და დამოკიდებულება გარე ფაქტორებზე, დამოკიდებული იყო ინვესტიციების სიმცირესა და დოლარიზაციის მაღალ მაჩვენებლებზე.

შედეგად, იმ პერიოდში არსებულ სერიოზულ გამოწვევებს, ფაქტობრივად არშემდგარ სახელმწიფოებრიობასა და ზოგადად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, საქართველოში ვარდების რევოლუცია მოჰყვა. რაც თავისი არსით სახელმწიფოს ახლებურად მართვასა და ძირეული რეფორმების გატარებას მოასწავებდა (ჩხიკვაძე,2018). მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური კონტექსტი ეკონომიკური ანალიზისთვის ნაკლებად გამოდგება, აღსანიშნავია, რომ ვარდების რევოლუციამ მართლაც გამოიწვია ეკონომიკური გაჯანსაღების, განვითარებისა და წინსვლის გარკვეული პერიოდი, რომელიც დადებითად აისახა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-ინფრასტრუქტურულ გარდაქმნაზე.

ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების გასაანალიზებლად მნიშნვნელოვანია რამდენიმე რეფორმის ხაზგასმა. მათ შორის, 2004 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების, როცა საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ იქნა მთელი რიგი ცვლილებები. ეს პროგრამა ითვალისწინებდა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების პრიორიტეტებს. შემდგომი

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო პროგრამა "ერთიანი და ძლიერი საქართველოსთვის ეკონომიკური ზრდის, გრძელვადიანი სტაბილურობისა და ევროინტეგრაციის გზით" მიღება, რომელიც ითვალისწინებდა ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას,სიღარიბის დაძლევას და დასაქმების პროგრამების შექმნას, ტურიზმის,აგრარული და სხვა სექტორების განვითარებისთვის პირობების შექმნას, საარსებო მინიმუმთან ხელფასების გათანაბრებას და ა.შ. ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის იყო კანონიერი ეკონომიკური თამაშის წესების აღდგენა და ფინანსური დისციპლინის დამყარება. აღნიშნული საკითხის რეალობაში განსახორციელებლად საჭირო იყო ჩრდილოვანი სტრუქტურების დანგრევა და მათი მთავარი წარმომადგენლების მიერ მითვისებული ქონების სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება, რომელიც შემდგომში გადანაწილდებოდა მოსახლეობაზე. სწორედ ამ მიზნით, დააპატიმრეს რამდენიმე მაღალჩინოსანი, რომლებიც წარსულში საკმაოდ დიდ კორუფციულ სქემებში იყვნენ გარეულნი. მათი ქონების ჩამორთმევითა და გადაუხდელი გადასახადების ამოღებით სახელმწიფოს ბიუჯეტში რევოლუციის შემდგომი პირველი სამი თვის განმავლობაში შეტანილი იქნა - 50 მილიონ აშშ დოლარამდე. (კილაძე, 2014). რა თქმა უნდა, აღნიშნული რეფორმები დადებითად აისახა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. პირველ რიგში იმიტომ,რომ ქვეყანას გაუჩნდა ლავირების საშუალება,გაიზარდა შემოსავლები,ბიუჯეტი, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა ტრანსფორმაციული ეტაპები.

ამასთანავე, ქვეყნის საბიუჯეტო პროცესი, საბიუჯეტო სისტემა და ფისკალური პოლიტიკა ორმხრივად დაუკავშირდა ქვეყნის ეკონომიკას. ერთი მხრივ, ეს იყო მთავარი ბერკეტი სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური რეფორმების გატარებისთვის, მეორე მხრივ კი, სარკისებურად აისახა ეკონომიკური გარდაქმნების ტენდეციები ქვეყნის ბიუჯეტზე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც განსაკუთრებული ინტენსივობით წარიმართა გულისხმობდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის პროცესს. „საპრივატიზაციო პოლიტიკის იდეოლოგია ეფუძნებოდა ეკონომიკის, შემდგომ კი რეფორმების კოორდინირების სახელმწიფო მინისტრის, კახა ბენდუქიძის ფრაზას "ყველაფერი იყიდება, სინდისის გარდა" (კილაძე, 2014). 2003-2010 წლებში 4 280 ობიექტის პრივატიზაცია მოხდა, რომლიდანაც მიღებული შემოსავალი 1.6 მილიარდი $ იყო (პავლიაშვილი, 2012). პრივატიზაცია შეეხო როგორც მცირე საწარმოებს, ისე მსხვილ საწარმოებს და მიწას. პრივატიზაციის პროცესში გატარებულმა პოლიტიკამ, მოიცვა არასამეწარმეო ობიექტებიც, როგორიცაა შენობები ქალაქის ცენტრალურ უბნებში და სხვა. თუმცა ამის საპირისპიროდ უნდა ითქვას,რომ პრივატიზების პოლიტიკა არ აღმოჩნდა მყისიერი, სწრაფი. დღესაც დაუსრულებელია იმ პერიოდში დაწყებული ეს რეფორმა. თავისი არსით საკმაოდ პოზიტიური შინაარსის რეფორმა სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი. მიუხედავად ამისა, ყოველივე ამან გამოიწვია ფასების ზრდა უძრავ ქონებაზე, რამეთუ დიდი რაოდენობით შემოედინებოდა უცხოელი ინვესტორები და კომერციული ბანკები საქართველოში და ატარებდნენ უძრავი ქონებისა და მშენებლობის სფეროში განსაკუთრებულ პოლიტიკას, რაც შენარჩუნდა 2008 წლის აგვისტოს ომამდე. (ციხელაშვილი, შერგელაშვილი და თოქმაზიშვილი, 2012).

მაკგოლდრიკი აღნიშნავს, 2004-2008 წლებს, როდესაც მაკროეკონომიკურ და ინსტიტუციურ რეფორმებთან ერთად ინვესტიციური კლიმატი გაუმჯობესდა, რამაც გამოიწვია საშუალო წლიური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 9.3%-მდე. (მაკგოლდრიკი, 2011). თუმცა ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას მეტწილად ხელი შეუშალა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, რომელმაც გამოიწვია მშპ-ს დაცემა 2,3 %-მდე. თანხმლებ მოვლენებს შორის აღსანიშნავია გლობალური ფინანსური კრიზისი და საგარეო საფრთხეები. საქართველოს საკმაოდ მტკივნეულად შეეხო ეს ცვლილებები, რამაც გამოიწვია დესტაბილიზაცია თითქმის ყველა სექტორში.

აგვისტოს ომის შემდგომ შელახული იმიჯისა და შიდა პროტესტების ფონზე, საინტერესოა 2009 წლის შემდგომი პერიოდი,როდესაც საქართველომ დაიწყო დროებითი ეკონომიკური შოკიდან გამოსვლა და ორიენტირებული გახდა პოზიტიურ შედეგებზე, რამეთუ 2010 წლიდან იგრძნობოდა ეკონომიკურ სექტორში ზრდადობის კოეფიციენტები.

საერთო ჯამში, შეგვიძლია გამოვყოთ მთელი რიგი დადებითი მაჩვენებლები. ექსპერტთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოში გატარებული ეკონომიკური რეფორმები ჰაიეკისა(ფონ ჰაიეკი) და მიზესის(ფონ მიზესი) ეკონომიკური თეორიების რეალობაში ასახვის საკმაოდ თანმიმდევრული მცდელობა იყო. ჰაიეკი მიიჩნევდა, რომ უნდა შეიქმნას პროგრესისთვის ხელსაყრელი პირობები და არა ,,დაგეგმილი პროგრესი“, საქართველოს კურსი, ღია საბაზრო ეკონომიკა, ბიზნესის კეთების სიმარტივე და ა.შ ნამდვიალად ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. საქართველოს წარმატებები საერთაშორისო ასპარეზზეც აღიარეს. მაგალითისთვის, მეწარმეობის სფეროს მუდმივად გაუმჯობესების მცდელობისთვის 2005-10 წლებში მსოფლიო ბანკმა საქართველო მსოფლიოს წამყვან რეფორმირებად ქვეყანად დაასახელა(World Bank: Doing Business, 2011). განვითარების ერთ-ერთი საწინდარი გახლდათ სახელმწიფოს მიერ მართულ კაპიტალიზმზე გადასვლისკენ მიმართული კურსი, რომელიც ნელ-ნელა ანაცვლებდა ნეოლიბერალიზმს.

ქრისტიან ტიმი სახელმწიფო ხელისუფლების გადადგმული ნაბიჯებიდან გამოარჩევს ინსტიტუციურ რეფორმებს, რომელიც გულისხმობდა ინტენსიურ დერეგულირების პოლიტიკასა და ეკონომიკაში ჩარევის შეწყვეტას. იგი თავის მხრივ ლიბერტარიანიზმთან ასოცირდებოდა და საქართველოს ხელსაყრელ სიტუაციას განაპირობებდა, გამომდინარე საერთაშორისო მხარდაჭერისთვის(Timm, 2014). საქართველოს წარმატება ასევე განაპირობა ფაქტმა, რომლითაც მსოფლიოში ყველაზე უფრო ხელსაყრელ ადგილად ჩაითვალა ფირმების დაარსებისა და მეწარმეობის წამოწყებისთვის, რამეთუ მხოლოდ ორი განაცხადის დამუშავება იყო საჭირო საქართველოში საწარმოს დასაფუძნებლად, ამასთან არ წარმოადგენდა აუცილებელობას მინიმალური კაპიტალი(Heritage Foundation, Index of Economic Freedom). თუმცა კრიტიკისთვის, უნდა აღინიშნოს რიგი უარყოფითი ფაქტორებიც, როგორებიცაა:არაფორმალური სახელმწიფო ჩარევები, სტრატეგიული ჩამორთმევები, იძულებითი ჩუქებები და ინტერვენციები. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები იბარებდნენ ბიზნესმენებს და აიძულებდნენ სახელმწიფოსთვის გადაეცათ თავიანთი ქონება, რაც

საკმაოდ დაძაბულ ფონს ქმნიდა და გამოიწვია კიდეც მოსახლეობის ნეგატიური განწყობილებების შექმნა.

თუმცა შელახული იმიჯის გამოსასწორებლად ხელისუფლებამ დაამტკიცა სახელმწიფოს მიერ მართული განვითარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ისეთი ფორმალური თუ არაფორმალური ინსტიტუტების გამოყენებას, რომლებიც სხვა დროს გამოიყენებოდა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ამ შემთხვევაში კი მსგავსი სახის ინსტიტუტების ჩართულობამ შესაძლებელი გახადა ,,ძალა" მიმართული ყოფილიყო ეკონომიკური განვითარებისკენ(ტიმი, 2017). ყოველივე ზემოაღნიშნული, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკური წინსვლა ნამდვილად შესამჩნევი იყო, რასაც ცხადჰყოფს საერთაშორისო აღიარებებიც, თუმცა ხელისუფლებაში მყოფი პირების სამსახურეობრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების ფაქტებმა მნიშვნელოვნად დააზარალა ქვეყანა და შექმნა ნდობის დეფიციტი.

2013 წლიდან დღემდე ეკონომიკური პოლიტიკა შეგვიძლია ორ ნაწილად დავყოთ, პანდემიამდე და პანდემიის შემდგომი. პანდემიამდე, 2019 წლამდე გრძელდებოდა ის კურსი,რომელიც 2009 წლიდან ტარდებოდა. შესაბამისად,რაიმე რადიკალური ცვლილება არ ყოფილა ეკონომიკური განვითარების მხრივ. ყოველივე გულისხმობდა, ბიზნესის სიმარტივეზე ორიენტირებულ ღია პოლიტიკას, რომელიც კონცენტრირებულია ტურიზმისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. 10 წლის განმავლობაში გატარებულ ეკონომიკურ კურსში შეგვიძლია გამოვყოთ რუსეთთან ურთიერთობის ცვლილება, რეგიონული კრიზისი, პანდემიური და პოსტ პანდემიური ეკონომიკური ძვრები. თუ პანდემიამდე ქვეყნის ეკონომიკა მთავრობის პოლიტიკას უკავშირდებოდა და ნაკლებად იყო დამოკიდებული მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან, პანდემიის პერიოდში კრიზისი მთელს მსოფლიოს შეეხო. (ნამჩავაძე, 2020). ქვეყანა კვლავ რთული ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დადგა. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვისას უნდა იქნას გათვალისწინებული საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი, არასტაბილურობა და გაურკვევლობა, რომლებიც ზრდის საფრთხეებს და რისკს ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევისთვის. საქართველოს ეკონომიკური განვითარება დაკავშირებულია ერთმანეთთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებთან, რომელთა რეალობაში განხორციელება ასევე მოითხოვს თითოეული სიტუაციის ინდივიდუალურ შეფასებას და გაანალიზებას.

მეთოდოლოგია

ჩვენი სტატია მიზნად ისახავდა, შეგვესწავლა, ეკონომიკური განვითარების როგორი გზა განვლო ქვეყანამ 1990-იანი წლებიდან დღემდე. საკვლევი კითხვიდან გამომდინარე გვსურდა, დაგვედგინა, თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური გარდაქმნის სტრატეგიები საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. არსებული საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად და საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვიყენეთ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, გავეცანით პირველად, მეორეულ და მესამეულ წყაროებს. განვიხილეთ უხცოელი და ქართველი მეცნიერების, დარგის ექსპერტების შეფასებები და ნაშრომები. ასევე სამთავრობო თუ კერძო სექტორის

დოკუმენტები. მაგალითად, სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდაზე გადასვლის ტემპების შესასწავლად გამოვიყენეთ ამერიკელი ეკონომისტის სტენლი ფიშერის, რატნა საჰაის და კარლოს ეი ვეგის სტატია,რომელიც გამოქვეყნებული იქნა ეკონომიკური პერსპექტივების ჟურნალში, პოსტკომუნისტური სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების და დამაბრკოლებელი ფაქტორების გასაანალიზებლად კი გამოვიყენეთ ქართველი ეკონომისტის ვლადიმერ პაპავას ნაშრომი ,,პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“ და ა.შ. ამასთან გამოვიყენეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP), ეკონომიკის სამინისტროსა და სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო საიტები.

დამატებით, ერთმანეთს შევადარეთ სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ავიღეთ ისეთი საიტებიდან,როგორიცაა: World Economic Outlook Database,World Development Indicators, Heritage Foundation, World Bank-ის და სხვა მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემების ბაზებიდან.

შედეგები/დისკუსია

სხვადასხვა ავტორის მოსაზრებების და არსებული სტატისტიკური ინფორმაციების გაანალიზებით შეგვიძლია სწორად გამოვკვეთოთ ის მნიშვნელოვანი გარდაქმნები,რომლებიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების 30 წელიწადში მოხდა. დამოუკიდებელი, ლიბერალური და სტაბილური საბაზრო ეკონომიკისთვის გარკვეული საფუძველის ჩამოყალიბება, ეკონომიკური ლიბერალიზაციის დონის გამტკიცება და ინსტიტუტების დემოკრატიზაციამ რა თქმა უნდა, გამოიწვია პოზიტიური ცვლილებები, თუმცა ამასთან გამოიკვეთა რიგი მნიშვნელოვანი პრობლემებიც. ყურადღებას გავამახვილებთ 2012 წლიდან დღემდე პერიოდზე,რამეთუ უკეთ დავინახოთ განვითარების პერსპექტივები და შედეგად ემპირიულად გავაანალიზოთ ე.წ შედეგების მატრიცა.

პირველ რიგში, გამოვყობთ შემოსავლებს,რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან პირდაპირ კავშირშია. როგორც ვიცით, მოსახლეობის შემოსავლების მატებას ეკონომიკური ზრდა განაპირობებს. ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარებისთვის ავიღოთ 2011-12 წლები, სადაც საშუალოდ ეკონომიკური ზრდა 6,9% იყო, ხოლო 2013-19 წლებში 4,1%. მაგალითად მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ცხადჰყოფს, რომ ეკონომიკური ზრდა შემდგომ წლებში შემცირდა. ამით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი 2011-12 წლების ზღვარში რომ დარჩენილიყო ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები დაახლოებით 41%-ით გაიზრდებოდა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ხელისშემშლელი პრობლემა არის უმუშევრობა, რომელიც რა თქმა უნდა პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკას. 2016 წლიდან დღემდე დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება. აქვე უნდა გამოვყოთ დასაქმებულთა ორი კატეგორია: თვითდასაქმებულები და დაქირავებით დასაქმებულები, რომელთა თანაფარდობა საქართველოში არაერთგვაროვანია. პირველ კატეგორიაში შედის ტაქსის მძღოლები, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, ინდივიდუალური მეწარმეები, რეპეტიტორები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მათი რიცხვი ბოლო წლების მონაცემებით იზრდება, დაქირავებით დასაქმებულთა ხარჯზე. პრობლემას

წარმოადგენს მოსახლეობის დამოკიდებულება დასაქმებასთან დაკავშირებით, რომელთა აღქმაშიც დასაქმებული დაქირავებით დასაქმებულს ნიშნავს. საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში უმუშევრობის პრობლემის გადაჭრა საკმაოდ ნელი ტემპით მიდის და თუ ამას გავითვალისწინებთ მინიმუმ 5 ათწლეული დასჭირდება უმუშევრობის დამარცხებას. ამ მხრივ უნდა გამოვყოთ გადაჭრის გზებიც, რომლებიც კავშირშია ეკონომიკურ ზრდასთან, რამეთუ მხოლოდ ეკონომიკური ზრდით შეგვიძლია დავძლიოთ უმუშევრობის პრობლემა. ვფიქრობთ, რომ მთავრობამ მათი საქმიანობის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად სწორედ სამუშაო ადგილების ზრდა უნდა დაისახოს.

უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ინფლაცია და ლარის გაუფასურება. განსაკუთრებით პანდემიის შემდგომ შეინიშნება სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდა. თუ შევადარებთ 2012- 2020 წლებს ჯამში დაახლოების 32,4 % არის გაზრდილი ფასები. არასტაბილურობამ და გაურკვევლობამ ბიზნესიც დააზარალა, რის გამოც იკლო საქართველოში შემომავალმა უცხოურმა ინვესტიციებმა, ხოლო ადგილობრივი წარმოების დიდი ნაწილი ან გაკოტრდა, ან კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა.

პანდემიამდე ქვეყნის შემოსავლების დიდი ნაწილი ტურიზმზე მოდიოდა, აღსანიშნავად ისიც გვეყოფა, რომ 2012 წელთან შედარებით 2019 წელს 2-ჯერ მეტი ვიზიტორი შემოვიდა. თუმცა 2020 წლის მარტიდან, კოვიდ პანდემიის გავრცელების შემდგომ, რასაც მსოფლიოს მასშტაბით მოჰყვა უმკაცრესი შეზღუდვები,ქვეყნის მასშტაბით ვიზიტორების რაოდენობამ 95%-ით მოიკლო, რამაც ცხადჰყო, რომ ეკონომიკური ზრდის მთავარ მიმართულებად ტურიზმი საკმაოდ სახიფათოა, გამომდინარე საერთაშორისო დღისწესრიგში მომხდარი ცვლილებებისა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით კრიტიკულად მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. თუ გავითვალისწინებთ 2012 წლიდან დღემდე უცხოურ ინვესტიციებს, ძირითადად ტრანსკავკასიური მილსადენების მშენებლობაზე მოდის, ანუ მომგებიანია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი, შემდეგ ადგილს იკავებს საფინანსო სექტორი, ენერგეტიკა და მშენებლობა. თუ პანდემიურ ფონს გავითვალისწინებთ, 2020 წლის დასაწყისში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 26%-ით შემცირდა, რაც გასაკვირი არ არის გამომდინარე მსოფლიოში შექმნილი ეკონომიკური კრიზისიდან. ამასთან აღსანიშნავია, ქვეყნის საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალი, რომელიც 2012 წლიდან მოყოლებული იზრდებოდა. უნდა აღნიშნოს ერთი ფაქტორიც, ლარში გამოხატული საგარეო ვალის ზრდა, გარდა მთავრობის მიერ გადადგმული საკამათო ნაბიჯებისა უკავშირდებოდა ლარის კურის დაცემასაც. ამასთან პანდემიამ და პოსტპანდემიურმა სიტუაციამ საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის ეკონომიკა, მიუხედავად მთავრობის სუბსიდირებისა, ქვეყნის მოსახლეობა კვლავ განაგრძობს გაღარიბებას, ეცემა სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის დონეც. 2021 წელს მთავრობის ვალი კრიტიკულ დონეს, მშპ-ს 60% გადასცდა, ქვეყნის საგარეო ვალი კი მშპ-ს 107%-ზე მეტი, რამაც კიდევ უფრო გაართულა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონე. საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლარი გაუფასურებულია დაახლოებით 85%-ით, 138%-ით არის გაზრდილი საწვავის ფასი, 112 %-ით არის გაზრდილი საქონლისა და მომსახურების ფასი, ხოლო

პირდაპირი ინვესტიციების 72%+ მოდის ემიგრანტებზე, ყოველივე ეს საკმაოდ სკეპტიკური მომავლის ხედვას იძლევა.

დასკვნა

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ეკონომიკური მდგომარეობა რამდენჯერმე შეიცვალა. თუმცა უნდა აღინიშნოს,რომ ეკონომიკურ განვითარებასა და კრიზისული მდგომარეობის გადაჭრაში ხელს გვიშლის ისეთი ფუნდამენტური პრობლემები,როგორებიცაა: რუსეთის ოკუპაცია, საერთაშორისო სისტემის ცვლილება, განათლების დაბალი დონე, ლოჯისტიკური შეზღუდულობა, სასამართლო სისტემის გაუმართაობა, ხელისუფლების არათანმიმდევრული ნაბიჯები და საკმაოდ დიდი საგარეო სახელმწიფო ვალი.

ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების შესწავლიდან გამომდინარე დავასკვენით,რომ საქართველოში სავალუტო კრიზისზე მოქმედებდა როგორც ენდოგენური, ასევე ეგზოგენური ფაქტორები. შედეგად, თავდაპირველად საბაზრო მექანიზმები ვერ მუშაობდა გამართულად,ხოლო გარდაქმნა ნელი ტემპით მიმდინარეობდა. კორუფციული მექანიზმებისა და სახელმწიფო ოლიგარქიული წყობის ფორმირებას ხელს უწყობდა საბაზრო ეკონომიკაში ძლიერი ადმინისტრაციული ჩარევა. ამას თან ერთვოდა ის ფაქტიც, რომ დაბალი იყო მონეტიზაციის დონე, რაც მეტყველებდა ბანკების შეზღუდულ როლზე. ამასთანავე, ეკონომიკის არასტაბილურობა და დამოკიდებულება გარე ფაქტორებზე დამოკიდებული იყო ინვესტიციების სიმცირესა და დოლარიზაციის მაღალ მაჩვენებლებზე. ეს იმ ფონზე,რომ ცვლილებები დოლართან მიმართებით პირდაპირპროპორციულად აისახებოდა ქვეყნის ეკონომიკაზე.

მთლიანობაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1990-იანი წლებში საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ არაერთგვაროვნად განვითარდა. 1998 წლის სავალუტო კრიზისმა შემდგომი სტრუქტურული რეფორმების შეფერხება და ეკონომიკური ზრდის ტემპის დაცემა გამოიწვია. ამის შემდეგ, საქართველოში "უძრაობის პერიოდი" დაიწყო, რომელმაც თითქმის 2003 წლამდე გასტანა. „უძრაობის პერიოდი" პირდაპირ უკავშირდებოდა უმოქმედობას, რამაც მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია კიდევ უფრო გააძლიერა და გამოიწვია არალეგალური ეკონომიკის მასშტაბების გაზრდა. გაიყინა ხელფასები, პენსიები, რამაც გამოიწვია მცირე ნაწილის შემოსავლების ზრდა და გამდიდრება. გაჩნდა ე.წ ელიტები, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური სადავეები. ამ ყველაფერმა წარმოშვა ელიტების პრობლემა, რომელიც ჩვეულებრივ მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვებოდა მხრებზე. ამ ყველაფრის მიუხედავად ქვეყანაში მიმდინარეობდა ინსტიტუციური ცვლიბებები,რომლებიც თავისი არსით ნამდვილად წინააღმდეგობრივად იმართებოდა, თუმცა, მთლიანობაში, დადებითად აისახებოდა ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე და გზას უკვალავდა ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. 2003 წლის შემდგომ ქვეყნის წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემებს შორის აღსანიშნავი იყო ენერგეტიკული და საბიუჯეტო კრიზისი, უმუშევრობის მაღალი დონე და სიღარიბე, რასაც ემატებოდა მოშლილი სახელმწიფო ინსტიტუტები და სტრუქტურები, ღრმად გამჯდარი კორუფცია და კლიმინალი.

ქვეყნის არსებულ მდგომარეობაზე კარგად მეტყველებს აშშ-ს ელჩ რიჩარდ მაილსის სიტყვა, როცა საქართველოზე განაცხადა, რომ ის არასდროს ყოფილა ისეთ ქვეყანაში, სადაც საქართველოს მსგავსად იგრძნობოდა უიმედობა, როგორც მოსახლეობაში, ისე მთავრობაში(ჩხიკვაძე, 2018). თუმცა გატარდა მთელი რიგი ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც გულისხმობდა ეკონომიკური გაჯანსაღების ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის სრულყოფას, კორუფციიდან გათავისუფლებას და ა.შ. პარალელურად აქტიურად მიმდინარეობდა სამეწარმეო გარემოს გაჯანსაღება, საკანონმდებლო ბაზისის შეცვლა, ბიუროკრატიის შემცირება, კორუფციიდან მისი გათავისუფლება, სახელმწიფო მოხელეების პასუხისმგებლობისა და მათი შრომის ანაზღაურების გაზრდა. ამ ყველაფერს მოჰყვა კონსტიტუციის შეცვლა,რომლითაც გაუქმდა ძველი და ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურები.

რეფორმებმა გამოიწვია საქართველოს სავაჭრო საზღვრების გაფართოვება, რამაც გაამარტივა ექსპორტ-იმპორტის პროცედურები, გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო, თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების დადებით რეგიონულ და მთავარ სავაჭრო პარტნიორებთან განხორციელდა სავაჭრო ურთიერთობების დივერსიფიცირება, გამარტივდა სატარიფო და არასატარიფო რეგულირება, შემცირდა გადასახადის განაკვეთი და სახეები, ასევე, ლიცენზირების და ნებართვების, თავისუფალი კონკურენციის ბარიერები საბაჟოს, საკუთრების რეგისტრაციის გამარტივებით, შეიცვალა და გაუმჯობესდა კრედიტებზე ხელმისაწვდომობა და შრომის რეგულირება. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი საწარმოების კონკურენტუნარიანობაზე ზეგავლენა მოახდინა საქართველოში თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ფორმირებამ, რის შედეგადაც შეიქმნა გარკვეული სტიმული მათი რესტრუქტურიზაციისათვის. იგი გულისხმობდა ეფექტურ და მოქნილ რეაგირებას საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა, ეს რეჟიმი თანაბრად სარგებლიანი ვერ აღმოჩნდა ადგილობრივი საწარმოებისათვის. იმ პირობებში, როდესაც მოხმარება იზრდებოდა და ქართული ეკონომიკის მწარმოებლური შესაძებლობები განსაკუთრებით კონკურენტუნარიანი არ იყო, თავისუფალმა ვაჭრობამ იმპორტის მოცულობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია და სავაჭო დეფიციტი გაზარდა. ამასთანავე, თავისუფალი ვაჭრობის საშუალებით კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდა ქართული ეკონომიკის დაბალი კონკურენტუნარიანობა როგორც ინდუსტრიულ, ისე აგრარულ სექტორებში. ამას დაერთო ისიც, რომ თავად ვაჭრობამაც ვერ შექმნა პირობები ამ კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გატარებული რეფორმების პოზიტიურ მახასიათებლებთან ერთად საკმაოდ ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული სახელმწიფო ეკონომიკის მართვაში. ნეოლიბერალურმა რეფორმებმა, რომლებიც წესით დადებითი შედეგების მომტანი და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების საწინდარი უნდა ყოფილიყო ვერ გაამართლა, რამეთუ არაფორმალური, სახელმწიფოსგან მართული კაპიტალიზმი შეიქმნა. ამ ყველაფერს მოჰყვა წინააღმდეგობრიობით აღსავსე აქტორთა ქცევები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ ლოგიკურად დესტაბილიზაციას იწვევდნენ.

2013-19 წლებში ეკონომიკა გაიზარდა, თუმცა ამას ხელი არ შეუწყვია უმუშევრობის შემცირებისთვის, მეტიც თუ უმუშევრობის შემცირების ტემპები ასე გაგრძელდება, საქართველოში ეს პრობლემა ვერსადროს იქნება დაძლეული, რა თქმა უნდა, თუ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ემიგრაციაში არ წავიდა, ეს კი სხვა მრავალ მწვავე პრობლემას გამოიწვევს, მათ შორის დემოგრაფიულს. დღესდღეობით სახეზე გვაქვს გაზრდილი ფასები, როგორც სამომხმარებლო,ისე მომსახურების სფეროში, უმუშევრობის დონე, გაუფასურებული ლარი დოლართან მიმართებით. ამასთან შავი ზღვის აუზში არსებული უსაფრთხოების პრობლემები, რეგიონული კონფლიქტები, დაპირსპირებები, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომი, რომელიც ქმნის საკმაოდ ბუნდოვან და საფრთხის მომცველ სიტუაციას. ქვეყანას ახლო მომავალში მძიმე ტვირთად დააწვება რუსეთიდან შემომავალი მიგრანტთა რაოდენობა, რომელთა რეალური ზრახვები უცნობია. რუსეთის ფაქტორი განსაკუთრებით აღსანიშნავია. ქვეყნის ეკონომიკური კურსის ცვლილებამ რუსეთთან მიმართებით, გამოიწვია დამოკიდებულება, რამაც შეასუსტა ქვეყნის უსაფრთხოება. ეს კი ნიშნავს იმას,რომ მიუხედავად რუსეთიდან შემოსავლების ზრდისა, შემცირდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა რიგ პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა უახლესი ისტორია, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდი და რუსეთის მიმართ საერთაშორისოდ დაწესებული სანქციები მოწმობს, რომ თუ გაწერილი იქნება სამოქმედო გეგმა რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება საკმაოდ ლოგიკური ხასიათს იძენს. მაგალითისთვის, შეგვიძლია მოვიყვანოთ 2020 წელი, როცა განულებული ტურიზმის ფარგლებში საქართველომ მძიმე ეკონომიკურ პირობებს გაუძლო. ასევე საინტერესოა, თანამედროვე გეოპოლიტიკური კრიზისის ფონზე რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების შემცირების აუცილებლობა. (ნამჩავაძე, 2020). მისმა აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ და საერთაშორისო საზოგადოების მკვეთრმა რეაგირებამ საქართველოს მისცა შანსი გახდეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რაც უკავშირდება ახალ შესაძლებლობებს, რაც ჩვენმა ქვეყანამ უნდა გამოიყენოს.

საბოლოოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისტორიის შესწავლამ ცხადჰყო სისტემური რეფორმების აუცილებლობა განათლებასა და სოფლის მეურნეობაში, ეკონომიკური შესაძლებლობებისა და გადამზადების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის მთავრობა, კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება და მოქალაქეები, ჩართულია მდგრადი განვითარების პროცესში. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლამ 1990-იანი წლებიდან დღემდე გვაჩვენა თუ რაოდენ ურთიერთსაწინააღმდეგოა ეკონომიკური მდგრადობის მიღწევა ქვეყნისთვის. ეკონომიკური შოკი, დესტაბილიზაცია, გაჯანსაღება იგრძნობოდა თითქმის მთელი 30 წელიწადის განმავლობაში, თუმცა აშკარა პოზიტიური, ხანგრძლივ დროზე გათვლილი წინსვლა ვერ იქნა მიღწეული. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფაქტორები იყო ამის გამომწვევი. საერთაშორისო ფინანსური კრიზისი, თანამდებობის პირების გადაცდომები, შერჩევითი სამართალი,რეგიონული კონფლიქტები და შიდა დაპირსპირება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ეკონომიკურ სტაგნაციაში.

ბიბლიოგრაფია

1. პაპავა, ვ. (2002). პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი პოლონური დიქტატის ქვეშ 332-351, თბილისი ,საქართველოს მეცნიერებათა აქადემია,საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
2. Fischer S., Sahay R., & Vegh C. A. (1996, April 1). "Stabilization and Growth in Transition Economies: The Early Experience". „Journal of Economic Perspectives“, p. 1-2. https://www.aeaweb.org/articles?id=10.1257/jep.10.2.45
3. Stiglitz, J. (1996). “Shock Therapy in Russia: Was There an lternative?”. World Dvelopment Report, Oxford University Press. www.pbs.org/.../shared/pdf/int_josephstiglitz.pdf
4. ციხელაშვილი ქ., შერგელაშვილი თ. და თოქმაზიშვილი მ. (2012). „საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი“. “ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი”. https://ei-lat.ge/wp-content/uploads/2020/09
5. Fic, T., & Saqib, O. F. (2006). Political Instability and the August 1998 Ruble Crisis. Journal of Economic Integration, 21(4), 764–783. http://www.jstor.org/stable/23001136
6. Ellman, M., & Scharrenborg, R. (1998). The Russian Economic Crisis. Economic and Political Weekly, 33(52), 3317–3322. http://www.jstor.org/stable/4407521
7. World Economic Outlook Database. (2007). www.imf.org/external/pubs/ft/weo/2007/02/weodata/index/aspx
8. Transition. World Bank, January-February, (2002). http://siteresources.worldbank.org/INTTRANSITION/Newsletters/20561622/JanFeb2002.pdf
9. “World Development Indicators 2002. (2002). Washington, DC, World Bank. https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/13921
10. ხარშილაძე გ. (2015). „საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებები გარდამავალ პერიოდში“. მიხეილ ჯიბუტი, სამეცნიერო ხელმძღვანელი. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი. http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/kharshilava.pdf
11. კილაძე ს. (2014, 15 ნოემბერი) "„ბიბისი“: კახა ბენდუქიძე და მისი „ქართული სასწაული“. რეპორტიორი. https://reportiori.ge/old/?menuid=2&id=45201
12. პავლიაშვილი, ს. (2012). "გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები". ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - საერთაშორისო ბიზნესის კათედრა, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/Konferenciis_Masalebi_Gascorebuli.pdf

13. კვინიკაძე, გ. (2017). გეოეკონომიკის საფუძვლები. თბილისი, საქართველო: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
14. ნამჩავაძე, ბ. (2020, 24 დეკემბერი). საქართველოს ეკონომიკა ბოლო 8 წელიწადში. Retrieved: აპრილი 2022, from Forbes Georgia: https://forbes.ge/saqarthvelos-ekonomika-bolo-8-tselitsadshi/
15. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2021). მშპ ერთ სულზე ($). საქართველო.
16. UNDP საქართველო Editors. (2022). *UNDP საქართველო*. Retrieved from ეკონომიკური განვითარება: https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/economic-development/in-depth.htm
17. World Bank: Doing Business. (2011). Georgia. Making a Difference for Entrepreneurs, https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/2549
18. Timm, C. (2014). „A Liberal Developmental State in Georgia? State dominance and Washington Consensus in the post-communist region." Göttingen. https://www.econstor.eu/bitstream/10419/95871/1/780786866.pdf
19. Heritage Foundation, Index of Economic Freedom, გვ. 220-221.
20. ჩხიკვაძე, ა. (2018, 27 ნოემბერი). შედეგები და შეცდომები: ექსპერტები ვარდების რევოლუციის 15 წლისთავზე. Retrieved: აპრილი 2022, from ამერიკის ხმა: https://www.amerikiskhma.com/a/rose-revolution-15-year-anniversary/4675301.html
21. მაჯგოლდრიკი, ჯ. (2011). საქართველოში ვაჭრობის განვითარებისათვის საჭიროების შეფასება - ვაჭრობა და ადამიანური განვითარება. თბილისი, საქართველო: გაერთნიანებული ერების განვითარების პროგრამა.
22. ტიმი, ქ. (2017, 5 მაისი). საქართველო: სახელმწიფო ბაზარში. ნეოლიბერალიზმიდან მართულ კაპიტალიზმამდე. Retrieved: აპრილი 2022, from HEINRICH BOll STIFTUNG: https://ge.boell.org/ka/2017/05/05/sakartvelo-saxelmcipo-bazarshi-neoliberalizmidan-martul-kapitalizmamde#_ftn27